“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი)

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

გუნდებს თამაში მოუხდათ მეტად ძნელ პირობებში – განუწყვეტელი წვიმების გამო მინდორი სველი და ტალახიანი იყო. მიუხედავად ამისა თამაში დაიწყო მაღალ ტემპში. პირველი 15–20 წუთის მანძილზე როგორც “დინამოს” ისე “ზენიტის” თავდამსხმელები თამაშობდნენ სწრაფად, ზუსტი გადაცემებით.

ამინდმა თავისი გავლენა მოახდინა თამაშზე. ფეხბურთელები დაიღალნენ, ტემპმა იკლო. ნახევარმცველები ნაკლებად ეხმარებოდნენ თავდამსხმელებს და მეტწილად დაცვაში ისხდნენ, გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ღოღობერიძე, რომელიც აქტიურად თამაშობდა წინა პოზიციებზეც.

ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა დაკარგეს ლენინგრადელებმა. ვოლოდინმა მიიღო ცარიცინის გადაცემა, მიუახლოვდა კარს და ძლიერად დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა. შემდეგ გარღვევაზე იყო გულევსკი, მაგრამ მისი დარტყმა აცდა კარს.

შემდგომში ინიციატივა დინამოელთა მხარეს გადავიდა. ისინი ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ამ იერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან თავდამსხმელები ცოტას და არაზუსტად ურტყამდნენ კარში. მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

დუბლიორთა შორის გაიმარჯვა “ზენიტმა” – 4:1.

“ლელო”, 6 მაისი, 1956 წ.